



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1459
06/08/2018

ქალაქი ბათუმი

1459-05-4-201808061240



მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის ნონა ქოქოლაძის 2018 წლის 02 აგვისტოს №2241-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სათათბირო ორგანო - საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) მირზა ბახტაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) ნონა ქოქოლაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი, მდივანი;
- დ) გიორგი ბერიძე - მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი სასამართლოსთან და სხვა ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში - საბჭოს წევრი;
- ე) ანა ბაჟაშვილი - მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;
- ვ) რეზო ვარშანიძე - მერიის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
- ზ) უჩა ქოქოლაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ინფორმაციულ - ტექნოლოგიურ საკითხებში - საბჭოს წევრი.

2. საბჭომ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591

დადგენილების შესაბამისად და უზრუნველყოს განცხადებების განხილვა და შესაბამისი ინიციატივის წარდგენა მუნიციპალიტეტის მერისათვის.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირების სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 დეკემბრის №969 ბრძანება.

4. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

